დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

ხელშეკრულება № 11

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16 თებერვალი 2012 წ.

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** (შემდგომში – „დამკვეთი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის გიორგი შონვაძის სახით და მეორეს მხრივ, **ინდ. მეწარმე რომან ჯინჭარაძე** (შემდგომში – „შემსრულებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია „შემსრულებლის“ მიერ „დამკვეთის“ ავტომანქანების ვაზ 21213 (ნივა), სახ.№ MWM-590; ვაზ 21214 (ნივა), სახ.№ ABE-210; ვაზ 21214 (ნივა), სახ.№ LAA-920 ტექნიკური მომსახურების (სერვისი - სათადარიგო ნაწილები) უზრუნველყოფა „დამკვეთის“ მოთხოვნის შესაბამისად დანართი №1-ის თანახმად (CPV50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები);

1.2. შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.3. შესყიდვა ხორციელდება ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს კინტრიშის დაცული ტერიტორიების, ქობულეთის დაცული ტერიტორიების და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციების საჭიროებისათვის 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1001 (ათასერთი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადების გათვალისწინებით.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ადგილი და ვადა

3.1. „შემსრულებელმა“ უნდა უზრუნველყოს „დამკვეთის“ ავტოსატრანსპორტო საშუალების რიგგარეშე, ოპერატიული პროფილაქტიკური მომსახურება „დამკვეთის“ მოთხოვნის შესაბამისად არაუგვიანეს 2012 წლის 18 თებერვლისა;

3.2. „შემსრულებელი“ „დამკვეთს“ მომსახურებას გაუწევს მის კუთვნილ სერვის ცენტრში შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №138;

3.3. მომსახურება განხორციელდება ავტომანქანაზე შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად;
4.2. მიღება-ჩაბარების აქტს „დამკვეთის" მხრიდან ხელს აწერს „დამკვეთის" სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო „შემსრულებლის" მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. „შემსრულებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს;
5.2. „შემსრულებლის" გარანტია შესრულებულ სამუშაოებზე ან/და გამოცვლილ და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში;
5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანის გამოყენებას დანიშნულებისამებრ, „შემსრულებელი" ვალდებულია „დამკვეთისაგან" შეტყობინების მიღებიდან 20 დღეში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი, ან დაუბრუნოს „დამკვეთს" გადახდილი თანხა;
5.4. გარანტია არ ვრცელდება „დამკვეთის" მიერ ავტომანქანის ექსპლუატაციის წესების დარღვევის და გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" ხორციელდება ლარებში.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 4.1. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში;
6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება „შემსრულებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „შემსრულებელი" ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „დამკვეთს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;
7.1.2. „დამკვეთს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);
7.1.4. კეთილსინდისიერა და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „დამკვეთის" მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2. „დამკვეთი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „შემსრულებლის დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „შემსრულებლის“ მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8. მხარეთა უფლება

8.1. „შემსრულებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;
8.2. „დამკვეთს“ უფლება აქვს:
8.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დაღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთისა“ და/ან „შემსრულებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიული ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „დამკვეთი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „შემსრულებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
10.3. საქართველოს სამოქალარო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „დამკვეთმა“ და „შემსრულებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. თუ „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
13.3. „დამკვეთის“ მხრიდან 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთს“ „შემსრულებლის“ სასარგებლოდ

დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

16.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსრულებელთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „დამკვეთთან“.

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”	ინდ. მეწარმე „რომან ჯინჭარაძე”
ქ. თბილისი, გულუას ქ. №6	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №138
ტელ: 2752352	ტელ: 599508236
ს/კ: 204911337	ს/კ: 61004047715
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „ლიბერთი ბანკი”-ს ქობულ. ფილ.
სახაზინო კოდი: 220101222	ბანკის კოდი: 220101468
ა/ა №200122900	ა/ა №GE05LB0112155918200000
_____	_____
გიორგი შონვაძე	რომან ჯინჭარაძე
თავმჯდომარე	ინდ. მეწარმე

დანართი №1

ვაზ 21213 (ნივა), სახ.№ **MWM-590**

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ძრავის ზეთი	4 ლიტრი	10 ლარი	40 ლარი
2	ზეთის ფილტრი	1 ცალი	6 ლარი	6 ლარი
3	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	4 ლარი	4 ლარი
4	წინა სამუხრუჭე ხუნდი	1 კომპლექტი	15 ლარი	15 ლარი
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდი	1 კომპლექტი	32 ლარი	32 ლარი
6	კრესტავინა	4 ცალი	25 ლარი	100 ლარი
7	ძრავის სანთელი	4 ცალი	3 ლარი	12 ლარი
8	ჩართვის ქუროს დისკი	1 ცალი	32 ლარი	32 ლარი
9	მუხრუჭის სითხე	1 ცალი	6 ლარი	6 ლარი
10	გამაძლიერებელი კოლოფის ჭანჭიკი	4 ცალი	2 ლარი	8 ლარი
11	მომსახურეობა			120 ლარი
	სულ ჯამი:			**375 ლარი**

ვაზ 21214 (ნივა), სახ.№ **ABE-210**

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ძრავის ზეთი	4 ლიტრი	10 ლარი	40 ლარი
2	ზეთის ფილტრი	1 ცალი	6 ლარი	6 ლარი
3	საწვავის ფილტრი	1 ცალი	12 ლარი	12 ლარი
4	დამცველის დაფა	1 ცალი	60 ლარი	60 ლარი
5	წინა სამუხრუჭე ხუნდი	1 კომპლექტი	15 ლარი	15 ლარი
6	უკანა სამუხრუჭე ხუნდი	1 კომპლექტი	32 ლარი	32 ლარი
7	კრესტავინა	3 ცალი	25 ლარი	75 ლარი

8	დიდი ტიაგა	1 ცალი	20 ლარი	20 ლარი
9	ჩართვის ქუროს დისკი	1 ცალი	32 ლარი	32 ლარი
10	ანტიფრიზი	4 ლიტრი	8 ლარი	32 ლარი
11	მომსახურეობა			140 ლარი
	სულ ჯამი:			**464 ლარი**

ვაზ 21214 (ნივა), სახ.№ LAA-920

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ჩართვის ქუროს დისკი	1 ცალი	32 ლარი	32 ლარი
2	ჩართვის ქუროს კარზინა	1 ცალი	90 ლარი	90 ლარი
3	მომსახურეობა			40 ლარი
	სულ ჯამი:			**162 ლარი**

„დამკვეთი“

_____

გიორგი შონვაძე
თავმჯდომარე

„შემსრულებელი“

_____

რომან ჯინჭარაძე
ინდ. მეწარმე